



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### თეკენტერის ჭა

თეკენტერის ჭა, სტული სიღრუე ხვამლის კირქვეულ მასივში, ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. ნაკურალეშის მახლობლად. გამომუშავებულია ქვედაცარცულ კირქვებში. სიმაღლე მ. დ. 1620 მ სიღრმე – 16 მ ფსკერის ფართობი – 35 მ<sup>2</sup> საერთო მოცულობა – 360 მ<sup>3</sup>. ჭა ებმის სანახევროდ წყლით ამოვსებულ ჰორიზ. გვირაბს. გვირაბში ჩასვლა შესაძლებელია მხოლოდ დიდი წიფლის ფულუროდან, რ-ის ფესვები ჭის კედლებშია გადგმული. ფსკერზე დაგუბებული წყლის სიღრმე 3–4 მ აღწევს. ჭის ფსკერზე გამდინარე ცივ ანკარა წყალს იყენებენ სასმელად. თ. ჭ. შეტანილია „საქართველოს წითელ წიგნში“.

ლიტ.: ტ ა ტ ა შ ი ძ ე მ., წ ი ქ ა რ ი შ ვ ი ლ ი კ., ჯ ი შ კ ა რ ი ა ნ ი ჯ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი, თბ., 2009.

---